პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 18 მაისი № 116 (16856) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი ვამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „ფრინველის ხორცის წარმოების გაძიდების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა მეფრინველეობის განვითარებისათვის. მეფრინველეობის ფაბრიკებმა, ხელიალიზებულმა მეფრინველეობის საწარმოებმა და სხვა მეურნეობებმა მეცხრე ხუთწლედში გაზარდეს ფრინველის ხორცის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდეა.

რუსეთის სფს რესპუბლიკის, უკრაინის სსრ, ყაზახეთის სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გამოიჩინეს ინიციატივა, რომ ფრინველის ხორცის წარმოება გადაიყვანონ სამეურნეოთაშორისო კოოპერირების, საწარმოთა სპეციალიზაციის გაღრმავებისა და ახალი ჯიშთსანაშენე მეურნეობების შექმნის საფუძველზე.

მაგრამ წარმოების დონე ჩამორჩება მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას. მთელი რიგი მეფრინველეობის მეურნეობანი ცუდად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს ბროილერის, ბატისა და ინდაურის ხორცის წარმოების ზრდის შემდგომი დაჩქარებისათვის, რომელთა ხვედრითი წონა წარმოებისა და შესყიდვის საერთო მოცულობაში ჯერ კიდევ დაბალია. ჭიანურდება მეფრინველეობის ფაბრიკებისა და ჯიშთსანაშენე მეურნეობების მშენებლობის ვადები, ნელა ითვისებენ ფრინველის ხორცის წარმოების არსებულ სიმძლავრეებს, სუსტად ინერგება საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საზორაც მეფრინველეობაში სასელექციო მუშაობის ორგანიზაციას, მეფრინველეობის ჯიშთსანაშენე მეურნეობებისა და ინსტიტუტების და საცდელი სადგურების საჭირო სამეცნიერო-საწარმოო ბაზის შექმნას, რაც აფერხებს ხორცის წარმოების ზრდას.

მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში უსაფუძვლოდ აუქმებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მეფრინველეობის ფერმებს, მეფრინველეობის საინკუბატორო საფერფლებს, შემცირდა ფრინველების სულადობა. საკმარისი არ არის მოსახლეობისათვის მისაყიდი მოზარდეულის წარმოება.

ანრეგენერ ერ დიდ მნიშვნელობას ხორცის წარმოების შემდგომ ზრდასა და ბროილერული მეფრინველეობის განვითარებას, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ ფრინველის, უწინარეს ყოვლისა კი ბროილერების ხორცის წარმოება იმ საფუძველზე, რომ გაადრმაონ მეფრინველეობის მეურნეობათა სპეციალიზაცია, შექმნან სამეურნეოთაშორისო საწარმოები, განაახლონ, გააფართოონ და ააშენონ ბროილერის, ბაგის, იხვის, ციცრისა და ინდაურის მოსაშენებელი მეფრინველეობის ფაბრიკები, აგრეთვე შექმნან ჯიშთსანაშენე მეურნეობანი საზოგადოებრივი წარმოებისა და მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ფრინველის მოზარდეულით.

დადგენილებით გათვალისწინებულია, რომ ხუთწლეულში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფრინველის ხორცის წარმოება გადიდდეს ერთთორად და მეტად, კერძოდ, ბროილერის ხორცისა — ერთი ოთხად.

დამტკიცებულია სახელმწიფო მეფრინველეობის ჯიშთსანაშენეების, ჯიშთსანაშენე რეპროდუქტორებისა და სახორცე მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ობიექტების, ზონალური საცდელი სადგურებისა და მათი ექსპერიმენტული მეურნეობების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და გაფართოების დავალებანი.

სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ ხამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“, გზის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროსა და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს დაევალათ გენერალურ მოიჯარეებთან დადებული ხელშეკრულებებით შეასრულონ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ობიექტებში სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოები ისეთი მოცულობითა და ისეთ ვადაში, რაც უზრუნველყოფს ამ ობიექტების დროულ ამოქმედებას.

სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების დაპროექტებასა და მშენებლობას, დაევალათ უზრუნველყონ, რომ 1977-1980 წლებში განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა მეფრინველეობის ობიექტების მშენებლობაში უფრო ფართოდ იქნეს გამოყენებული შემსუბუქებული ინდუსტრიული კონსტრუქციები, მაღალეფექტიანი სათბუნებლები, მოსაპირკეთებელი მასალები, და ამის საფუძველზე შემცირდეს მშენებლობის ღირებულება და ვადები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალათ 1981-1985 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტის შემუშავებისას გაითვალისწინონ ფრინველისა და განსაკუთრებით ბროილერის ხორცის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროები და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ უახლოეს წლებში შეიქმნას და წარმოებაში დაინერგოს:

მაღალპროდუქციული ჯიშების სახორცე ქათმები, რომელთა 7 კვირის ბროილერის ცოცხალი წონა შეადგენს ხულ ცოტა 1,6-1,7 კილოგრამს;

სახორცე ფრინველის გამოზრდის პროგრესული ტექნოლოგია ბროილერების გამოსაზრდელი ახალი დიდმწარმოებლური საგალიე მოწყობილობა.

კომბინირებული საკვების უფრო სრულყოფილი რეცეპტები, რომელთა გამოყენების შედეგად საკვების დანახარჯი ერთი ცენტნერი წონანამატის წარმოებაზე შემცირდება 2-2,5 ცენტნერ საკვებ ერთეულამდე.

მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს, ხელსაწყოთმშენებლობის ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს, მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა ნაქანათმშენებლობის სამინისტროს, საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“ და ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს დაევალათ უზრუნველყონ 1977-1980 წლებში სახორცე მეფრინველეობისათვის განკუთვნილი მანქანა-მოწყობილობის კონსტრუქციების შემუშავება, წარმოება და მიწოდება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოვალენი არიან შეიმუშაონ და განახორციელონ 1977-1980 წლებში საჭირო ღონისძიებანი, რათა გაიზარდოს ფრინველის, განსაკუთრებით წყლის ფრინველების, ხორცის წარმოება მოსახლეობის პირად დამზმარე მეურნეობებში. ამ მიზნით მნიშვნელოვნად გაზარდონ კვერცხის ინკუბაცია და მოსახლეობისათვის ფრინველის მოზარდეულის მიყიდვა, რათა ყოველ კოლმეურნეს, მუშასა და მოსამსახურეს შეეძლოს გამოსაზრდელად იყიდოს საჭირო რაოდენობის წიწილები, იხვის ჭუჭულები, ბატისა და ინდაურის ჭუკები.

დადგენილებით გათვალისწინებულია აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, თუ როგორ განვითარდეს ბროილერული მეფრინველეობა, გაიზარდოს ფრინველის ხორცის წარმოება კოლმეურნეობებში, ხაბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მეურნეობებში.

ვიდრე ყანები გაიჭრება

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად ირაზმებიან მეათე ხუთწლედის მეორე წლის უხვი მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის!

ლაშქროგა დიდი მოსავლისათვის

დიდი. ოქტომბრის სათბილეთ წელს თელავის რაიონის მემინდვრეებმა ყურადღებით თაოსნობის საპასუხოდ ვალდებულება იკისრეს მიიღონ 11.600 ტონა მარცვლეული (გეგმა — 11.020 ტონა). დიდი მოსავლისათვის ლაშქრობა წარმატებით მიმდინარეობს. ყანები საიმედოდ გვაქვს, მოვლილი და ეფექტური, შუა რიცხვებიდან ალოობას ვაკეთებთ. თავთავიანების მოსავალს ავიღებთ 12 სამუშაო დღეში. საამისოდ მზადყოფნაშია ყველა კომბაინი და საჭირო ტრანსპორტი, თვითეულ კომბაინს 3 ავტომანქანა მოემსახურება. მაღალკალიფიციური მექანიზატორები მოსავლის აღების დღეებში ორ ცვლად იმუშავებენ. ყოველდღიურად მოხდება კომბაინერთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება და გამარჯვებულნი მიიღებენ ფასიან ჯილდოს, როგორც მეურნეობის, ისე რაიონის მასშტაბით. გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები, ჯილდოები, წახალისებები.

ალოობის პერიოდში უმეტესად სამუშაო ადგილებზე ორგანიზებული იქნება საზოგადოებრივი კვება მეურნეობების ხარჯზე. ერთი სიტყვით, ყველა პირობას გაჩენთ იმისათვის, რომ მოსავალი უდანაკარგოდ, შემჭიდროებულ ვადებში აიღოთ.

ვ. სოხიტაშვილი,
თელავის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

შეჯიბრებაში გავიმარჯვებთ

სიღნაღის რაიონში თავთავიან ბურეულებს 20.617 ჰექტარი უჭირავს. აქედან 6.390 ჰექტარი ქერია. ალოობაც რაიონში სწორედ ქერის ყანების გაჭრით იწყება. საამისოდ უკვე მზად არიან მექანიზატორები, მემანქანეები და ყველა, ვინც დასაქმებულია ამაში.

მოსავლის აღების, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და საკვების დამზადების უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების შესახებ მიღებულმა დადგენილებამ, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა გაზეთებში, კიდევ უფრო მეტი შინაარსი მისცა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა შორის გაშლილ შეჯიბრებას.

ა. ღვედაშვილი,
სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი.

ცნობები ჩაის კლანტაციიდან

კრეფენ აფხაზეთში

ჰირვეული ამინდის გამო ფოთლის შერჩევითი კრეფა დაგვიანებით დაიწყო. მიუხედავად 1.400 ტონა ფოთლის ასს რესპუბლიკის მეჩაიეები ძალიან ბევრს არ ზოგავენ იმისათვის, რომ ვალდებულებით გათვალისწინებული 65 ათასის ნაცვლად წელს მოკრიფონ და საბოლოოდ 67 ათასი ტონა ნედლეული.

ჩაის ფოთლის კრეფას პირველი შეუდგა ოჩამჩირის რაიონის მოქეიის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი დ. ბიგვავა). ის ბრიგადები, რომლებსაც ფ. ბუჩაშვილი, ხ. ცაგერია და გ. გადელია ხელმძღვანელობენ, ფოთლის კრეფის ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ. მეურნეობის გადაწყვეტილებაა წელს მოკრიფონ 2.200 ტონის ნაცვლად 2.400 ტონა ჩაის ფოთოლი, აქედან 50 პროცენტი მანქანით მოიკრიფება.

სოფელ ოხურეის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ალ. შონია) წელს 940 ტონის ნაცვლად 1.400 ტონა ფოთლის მოკრეფისათვის იბრძვიან. ჯერჯერობით პირველობას არავის უთმობს მეოთხე ბრიგადა.

ფოთლის შერჩევითი კრეფა კარგად მიმდინარეობს გალის რაიონს აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. შერვაშიძე), ჭეტურხინჯის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი მ. აბლო�ia). მუშაობის ტემპი ყოველდღე ძლიერდება. გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში. 10 მაისისათვის აფხაზეთში სულ მოკრეფილი იყო 512 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საქმიანად, პასუხისმგებლობით

აი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი ახალი უბანი — საქარხნო რაიონი. მის საწარმო-დაწესებულებებში მრავალ ადგილას შეხვდებით ლამაზად გაფორმებულ ფასადებს, რომლის წარწერები მიგანიშნებთ, რომ აქ არის საარჩევნო უბანი, აგიტპუნქტი.

ერთ-ერთი მათგანი — მე-13 საარჩევნო უბანი (საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნ. კობახიძე) თბილისის 117-ე საშუალო სკოლის შენობაშია მოთავსებული. მაჩვენებელმა შეგიყვანა გამოვნებით გაფორმებულ აგიტპუნქტში, სადაც მიტად საქმიანი ვითარება დაგხვდა. გავეცანით კომისიის წევრებს, ყველა მათგანი მინდობილ საქმეს მთელი მონდომებით და სერიოზულად ასრულებს. ამჯერად თითქმის ყველა მუშაობს ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაზე, მიმდინარეობს მათი ხელახალი შემოწმება. ყველა შეცდომა თუ უზუსტობა უმალვე სწორდება.

დიახ, ამ დღეებში ამ უბნის აგიტპუნქტი, რომელსაც ეგულებოდა შ. სოხიშვილი ხელმძღვანელობს, ნაყოფიერად მუშაობს. იგი ამ დიდი პოლიტიკური კამპანიის მოსამზადებელი ცენტრი გახდა. აქ ყველაფერი — ყველა ნივთი თუ დოკუმენტი საარჩევნოა, მხოლოდ ამომრჩეველებისათვის არის განკუთვნილი. მათ გასაგრძელებლად ლამაზად გამოფენილი საარჩევნო, პოლიტიკური, მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა, სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების მასალები, დიაგრამები, რომელნიც მკაფიოდ ასახავს რესპუბლიკისა და რაიონის მშრომელთა წარმატებებს.

საარჩევნო უბანს 34 აგიტატორმა და პოლიტინფორმატორი ემსახურება. აგიტკოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობს პედაგოგი გ. მურელია, მათთვის სისტემატურად აწყობს აგიტსემინარებსა და თათბირებს, იწყობა ლექციო-მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები. მშრომელებმა მოისმინეს ლექცია თემაზე საარჩევნო სისტემა კაპიტალისტურ ქვეყნებში. აქვე ამომრჩეველები ამომწურავ პასუხს იღებენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ამ დღეებში ამომრჩეველების ხასურველი სტუმრები არიან აგიტატორები ე. ბეგიტაშვილი, ზ. თაბაგარი, ლ. ლომთათიძე და სხვები, რომლებიც საცხოვრებელ კორპუსებში სპეციალურად გამოყოფილ პუნქტში მართავენ საუბრებს. ისინი წინასწარ ემზადებიან ამომრჩეველთან შეხვედრისათვის, ამიტომ მათი საუბრები ყოველთვის საინტერესოა, ისინი გასაგებად განუმარტავენ საბჭოთა საარჩევნო სისტემის უპირატესობას, საშინაო და საგარეო, ჩვენი ქვეყნის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის საკითხებს. მოუთხრობენ ოახლოოს პერსპექტივებზე, დიდ ოქტომბერზე და იმაზე, თუ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად რა როლი აკისრია თვითეულ საბჭოთა მოქალაქეს. ამ უბნის ამომრჩეველები რამდენჯერმე კოლექტიურად დაესწრნენ კინოფილმს.

საარჩევნო უბნის მიკრორაიონში 1767 ამომრჩეველია, გვეუბნება საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი პედაგოგი ა. კეკელიძე,— ისინი ცხოვრობენ 17 კეთილმოწყობილ კორპუსში. მათთვის კიდევ მრავალი შინაარსიანი ღონისძიება განხორციელდება, მოეწყობა შეხვედრები შრომის მოწინავეებთან, ჭილოვნების მოუმაკეთან, ექსკურსიები ღირსშესანიშნაოა ადგილებში, მოისმენენ საუბრებს ყოფაქცევის კულტურის დაცვაზე და სხვ.

ამ უბანში ყველაფერი კეთდება ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩატარებისათვის.

ე. მამალაძე.

* * *

სურათზე: მე-13 საარჩევნო უბნის აგიტატორები და პოლიტინფორმატორები (მარცხნიდან) ე. ბეგიტაშვილი, ზ. თაბაგარი, ი. კალანდაძე, ლ. პატარაკაცაშვილი, ნ. ბაისურაძე, ლ. ლომთათიძე, ც. ლომიძე და ი. ნათაძე საგიტაციო უბნებში გასვლის წინ.

ხ. კილაძის ფოტო.

ფინეთის პრეზიდენტი მოსკოვში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 17 მაისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი.

ფინეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე უ. კ. კეკონენს დახვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ფინეთის მხრივ — ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურპო კალევი კეკონენი.

17 მაისს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებას აწარმოებდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ფინეთის მხრივ — ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურპო კალევი კეკონენი.

მოლაპარაკების დროს, რომელშიც მეგობრულ ვითარებაში და ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა, გაიმართა ყოვლისმხრივი აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობების სხვადასხვა საკითხებზე. მოლაპარაკების მონაწილეებმა კმაყოფილებით დაადასტურეს, რომ ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობა სასიკეთოდ ეფითარება, იგი დამკვიდრებულია მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის ხელშეკრულების საფუძველზე. გაანიხილეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა დარგების თანამშრომლობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. მხარეებმა კმაყოფილებით დაადასტურეს, რომ მსოფლიოში სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს დაძაბულობის შენელებას, განმტკიცებას, დადასტურდა აგრეთვე, რომ მხარეებს გადაწყვეტილი აქვთ კიდევ უფრო გაადრმაონ და გააფართოონ ეს პროცესი, ხორცი შეასხან სრულად ევროპის თანამშრომლობა-ლონ აქაში მოკიდულ პრინციპებსა და მორიგებებს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მშვიდობის განმტკიცებას, უშიშროებისა უზრუნველყოფას, თანამშრომლობის განვითარებას ევროპის კონტინენტის ჩრდილოეთსა და ბალტიის ზღვის აუზში.

სურათზე: მოლაპარაკების დროს. ფოტო-სქეჩი.

მოლაპარაკება კრემლში

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ნ. ზემსკოვი, სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ს. სტეპანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მდივანი ვ. მ. სამოტეიკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ვ. მ. სობოლევი, სხვა ოფიციალური პირნი;

ფინეთის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ვიიტალინენი, ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ი. ჰალამა, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის მოადგილეები ა. რიუტკენენი და ი. ილონიემი, პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი ი. პერტუნენი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკვლევი).

საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

გორი. („კომუნისტის“ კორ.) გაიმართა საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო ამხ. ა. ნ. წიკლაური გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ბ. მ. მაყაშვილი.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. ხ. ე. ხაბეიშვილი.

მეგობრულ ვითარებაში

17 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გამართეს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კ. კეკონენის პატივსაცემად.

ფინეთის პრეზიდენტთან ერთად სადილზე იყვნენ ოფიციალური პირნი, რომლებიც უ. კ. კეკონენთან ახლავან საბჭოთა კავშირში მოგზაურობაში.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვა წარმოთქვა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ბატონო პრეზიდენტო!

ბატონებო ფინელო მეგობრებო!

ამხანაგებო!

გულითადად მიგესალმები ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ურჰო კალევი კეკონენს და მის თანმხლებ ფინელ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს.

საბჭოთა კავშირში გულწრფელი მეგობრისვითრთ ეგებდებიან ფინეთს, მის მეგობარ ხალხს. ჩვენ დიდად ვიფიცებთ იმას, რასაც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მივაღწიეთ ურთიერთობების ფართო განვითარებაში, ფინეთ-საბჭოთა ურთიერთობის ბედზე ფიქრებს ვაზიარებ. ეს ერთ-ერთია ევროპაში ომისშემდგომ ეპოქაში ერთ-ერთმა პირველებმა არა მარტო ომიანობის, არამედ პატარა ფინეთისა და ფინეთ-საბჭოთა ურთიერთობის დაფუძნებულ ურთიერთობებზე, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ბაზაზე.

ეს ერთ-ერთ ფინეთ-საბჭოთა ურთიერთობის ფენომენია,

საკრებული
ტელეტაიპი
გადმოგვცემს
17 მაისი

მსოფლიოს ამბები

ფაქტები ჰიპოთეზები

გაანიარაღება დროის მოთხოვნაა

მხარს უჭერენ საბჭოთა ინიციატივებს

□

ნიუ-იორკი. (საკრებული). მსოფლიო გაერთიანება ესწრაფვის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვასა და განმტკიცებას.— ამას მოწმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმის სახელზე მიღებული სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობათა წერილები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის მოწყობის შესახებ. ამ წერილებში ფართოდ იწონებენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ინიციატივებს, კერძოდ სსრ კავშირის წინადადებას, რომ განიარაღების პრობლემა მთელი მოკცულობით განიხილონ ყველაზე წარმომადგენლობითის და ავტორიტეტულ ფორუმზე — განიარაღების მსოფლიო კონფერენციაზე. ასეთი ფორუმის მოწვევას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის მოწვევას, როგორც შუალედური ეტაპისა, კონფერენციის გზაზე, ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს, ფრაზად მნიშვნელოვანი ელემენტი იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს საყოველთაო და სრული განიარაღების მიზნებს.

საბერძნეთის მთავრობის წერილში გამოთქმულია შეშფოთება მზარდი გამალებული შეიარაღების შედეგების გამო, რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, აბრკოლებს ქვეყნების, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას. ამის გამო, აღნიშნულია წერილში, საბერძნეთის მთავრობა მხარს უჭერს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას, აგრეთვე მხარს უჭერს გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის ჩატარების იდეას.

სსრ კავშირის ინიციატივები, რომელთა მიზანია ატომური იარაღის ლიკვიდაცია, ომის წარმოების ქიმიურ საშუალებათა აკრძალვა და მოსპობა, მოიწონეს თავიანთ გამოსვლებში იტალიის, ახალი ზელანდიის და ავსტრალიის მთავრობებმა.

ფინეთი ახალი მთავრობის პროგრამა

ჰელსინკი. (საკრებული). ფინეთის ახალმა მთავრობამ, რომელსაც მეთაურობს კალევი სორსა, გამოაცხადა თავისი საქმიანობის პროგრამა.

პროგრამაში აღნიშნულია, რომ მთავრობა განახორციელებს საგარეო პოლიტიკას — პაასიკივი-კეკონენის გეზის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია სსრ კავშირისა და ფინეთის 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მნიშვნელობა. მთავრობა აცხადებს, რომ განსაკუთრებით განავითარებს კეთილმეზობლურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან.

მთავრობა, ხაზგასმულია დოკუმენტში, იქცდება ეფექტიანად შეუწყოს ხელი ამ პრინციპების განხორციელებას, რომლებიც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა მოიწონა, ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელებას, ხალხებს შორის თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას, აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში.

პროგრამა ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს იმ ეკონომიკური სიძნელეების გადალახვისათვის, რომლებსაც ამჟამად ფინეთი განიცდის.

ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეები

მეგობრობა, თანამშრომლობა

16 მაისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე დარბაზში დიდი ფუფუტორია შეკრიბა საღამომ, რომელიც ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეების სიმბოლო გახლავთ.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში ისხდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ფ. ფულეკი, მეცნიერების, ტექნიკური პროგრესისა და უმაღლესი განათლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ელეიაზოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელი ი. ელენინოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პირველი მდივანი ი. ნენოგანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული მეცნიერული ინფორმაციის ინსტიტუტის დირექტორი ს. პეტკოვი, „საქართველოში ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეების“, გამოფენის დირექტორი ვ. მორაროვი, მხატვარი ს. კასაბოვი და სხვები.

კრების მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. კიკნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. კიკვიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და საშვალებელთა განყოფილების გამგის მოადგილე ა. გიორხელიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გუჯაბიძე, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ო. გორდელაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე გ. მელაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ფრანგიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ნ. ლანდია, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ა. ძიძიგური, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების მდივანი ლ. ყანჩაველი, კინორეჟისორი ნ. ნიჭოგა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექტორი თ. კეკელიძე და სხვები.

საღამო გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. გეგეჭკორელმა, რომელიც გულთბილად მიესალმა ბულგარელ ხალხს წარმომადგენლებს და გამოთქვა რწმენა, რომ ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეები ხელს შეუწყობს ორი მეგობარი ხალხის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას, რასაც უკვე მოაქვს ჩინებული ნაყოფი. 1967 წლის 12 მაისს სოფიაში საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების აღსანიშნავად გამართულ მიტინგზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა: „ჩვენ რომ გკითხონ, რა არის სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, გუშასუხებთ: შენდეთ ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. სწორედ ეს არის მომქმედი სოციალისტური ინტერნაციონალიზმი“.

ვხსნით რა ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეებს, რომლებიც რესპუბლიკაში 27 მაისამდე გასტანს, თქვა ი. გეორგიევმა, მხურვალედ ვფლობ ბულგარელ ამხანაგებს ამ მიღწევებს, რომლებმაც დამსახურებული სახელი მოიხვეჭეს ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკას, და გუსურვებთ ახალ მიღწევებს.

მეცნიერების, ტექნიკური პროგრესისა და უმაღლესი განათლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილემ, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მთავარმა სწავლულმა მდივანმა ლ. ელეიაზოვმა თქვა, რომ სახარტელთა ან კმაყოფილებით ასრულებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დავალებას მიესალმოს საქართველოში ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეების გახსნაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და მის მეცნიერებისა და ტექნიკის. სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს.

ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეებს მოწყობა თქვენს რესპუბლიკაში მიგვაჩნია ყურადღების გამოვლინებად ბულგარეთის ხალხისადმი, ბულგარეთის მეცნიერულ-ტექნიკური აზრისადმი. დარწმუნებული ვართ, რომ ეს დღეები წვლილს შეიტანენ საბჭოთა და ბულგარელი ხალხების ურღვევი მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაში.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიკოსმა ლ. ყანჩაველმა ილაპარაკა ბულგარელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის საუკუნოვან ტრადიციებზე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ თანამშრომლობის განვითარებაზე.

ბულგარელი და ქართველი მეცნიერების თანამშრომლობის კონკრეტული, დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული. ნაყოფშევრების შესახებ ილაპარაკეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა ნ. ლანდიამ და ახალგაზრდა მეცნიერმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ინფორმაციის ინსტიტუტის დირექტორმა ა. შატბერაშვილმა.

შეთამბეჭდავად გაისმა საღამოზე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორის ნ. ნიჭოგის გამოსვლა. 25 წლის წინათ იგი ბულგარეთიდან მოსკოვში ჩამოვიდა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო საკავშირო ინსტიტუტში შევიდა სასწავლებლად. იქ გაიცნო მომავალი მეუღლე კინორეჟისორი გ. წულაია და კი უკვე 20 წელია საქართველოში ცხოვრობს.

ბულგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დღეების საზეიმო გახსნა ბულგარეთი და საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის, მათი ურღვევი ერთიანობის შეშფოთის ბანერი გახდა.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქინფორმბიუ).

ბაზელის ბაზრობაზე

საბჭოთა კავშირი პირველად მონაწილეობდა შვეიცარიის ტრადიციულ ეროვნულ სავაჭრო-სამრეწველო ბაზრობაში, რომელიც ქალაქ ბაზელში გაიმართა.

საბჭოთა საგარეო-სავაჭრო გაერთიანებებმა აქ წარმოადგინეს წიგნები, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, საიუველირო ნაწარმი, ბეწვეული, ხალიჩები, პარფიუმერია.

სურათებზე: (ზემოთ) სსრ კავშირის ალამი ბაზრობის შესასვლელთან; (ქვემოთ) მნახველები ეცნობიან „საერთაშორისო წიგნის“ სტენდებს.

ხაბეშის ფოტო.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონსულტაციები

იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც მიღწეული იყო ა. წ. მარტში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ვენსის მოსკოვში ვიზიტის დროს მოლაპარაკებისას, უკანასკნელ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებს შორის 9-13 მაისს გაიმართა ორმხრივი კონსულტაციები შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების ზოგიერთ საკითხზე.

კონსულტაციების მსვლელობაში განხილულ საკითხები, რომლებიც ეხება მასობრივი მოსობის იარაღის ახალ სახეობათა და სისტემათა შემუშავებისა და წარმოების აკრძალვას, კერძოდ, განიხილეს რადიოლოგიური იარაღის აკრძალვის საკითხი. მხარეებმა იმსჯელეს გარკვეულ ასპექტებზე და გამოავლინეს განსაბჭოველ, საკითხებზე თანხმობის სფეროები.

გაგრძელდა იმ საკითხების განხილვა, რომლებიც შეეხება შესაძლო ერთობლივ ინიციატივას განიარაღების კომიტეტში ასეთი საერთაშორისო კონვენციის დადების მიმართ, რომელიც ეხება ომის წარმოების აკრძალვას სამშვ, მომაკვდინებელ ქიმიურ საშუალებებს, რაც პირველი ნაბიჯი იქნება ქიმიური იარაღის სრული და ეფექტიანი აკრძალვის მიმართულებით. მოლაპარაკება ამ საკითხზე მიმდინარეობდა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1974 წლის 3 ივლისს უმაღლეს დონეზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე და იყო განგრძობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის კონსულტაციებისა ომის წარმოების მომაკვდინებელი და სხვა დიდად ტოქსიკური საშუალებების მიმართ. ეს „კონსულტაციები მოიწყო ივნისში 1976 წლის აგვისტოსა და 1977 წლის ანვილში. ამ საკითხების განხილვამ სასარგებლო საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ გაგრძელდეს მუშაობა შესაბამისი დოკუმენტის ტექსტის მოსამზადებლად, რომელიც ერთობლივი ინიციატივის პრაქტიკული განხორციელება იქნებოდა.

მხარეები შეთანხმდნენ უახლოეს დროში შეხვდნენ ერთმანეთს იმისათვის, რომ განაგრძონ ყველა განხილული საკითხის გარჩევა.

„კუ-კლუკს-კლანი“ ძალებს იპრეგს

პარიზი, (საკრებული). „კუ-კლუკს-კლანი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავ გაძლიერდა. ძალიან მალე შეიძლება განხლდეს ლინჩის სასამართლოები, განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ ანჯელა დევისმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ხალისუფალი რასიზმს იყენებენ როგორც დამცავ სარქველს ოთხკანიანი ამერიკელების მზარდი უკმაყოფილების შესანელებლად. ოთხკანიანი ამერიკელები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ დიდმა კრიზისმა მოიცვა ქვეყანა, ხაზგასმით აღნიშნა მან საუბარში, რომელიც გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა.

რასისტები სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებიან ზანგებისა და ოთხკანიანების ერთად სწავლებას, აღნიშნა ა. დევისმა.

ეთიოპია:

უძველესი იმპერიის ახალი სუნთქვა

წლეულს 3 თებერვალს ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებას მცხოვრებლები უკანასკნელი წლის მანძილზე „გამომუშავებული რეაქციული — მშვიდად შეხვდნენ სროლის ხმას. აქ დღე ისე არ გავა, სროლა რომ არ იყოს, მაგრამ 3 თებერვლის ამბებს გაცილებით ფართო და ხანგრძლივი რეზონანსი ჰქონდა. ამ დღეს, დილის 11 საათზე დედაქალაქის გარნიზონის ზოგიერთმა შენაერთმა იერიში მიიტანა ყოფილ იმპერატორის სასახლეზე, რომელიც აქვამად დროებითი სამხედრო ადმინისტრაციელ სამეს რეზიდენციად. ამავე დროს მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს პარლამენტის შენობაზე და ფრანგულ ლიკეუმზე. იმავე საღამოს რადიოთი გამოვიდა ზემოაღნიშნული სამეს ერთ-ერთი წევრი, რომელმაც განმარტა, თუ რა მოხდა დღისით. სამეე კი ასე იყო: ჯერ კიდევ მარშან. 30 ივლისიდან მოხდა სამეს ორგანიზაცია, რომლის მიზანიც მეამბოხეები, რადიკალური ფრთის პოზიციათა შესუსტება იყო. 3 თებერვლის პუტჩს კი ფიზიკურად უნდა მოესპო რადიკალური დაჯგუფება, მაგრამ პუტჩი ჩაიშალა, სამეს გაწმენდილ იქნა პროდასავლური ოფიცრებისაგან და მის თავმჯდომარედ აირჩიეს პოდპოლკოვნიკი მენგისტე ჰაილე მარიამი...

1977 წლის თებერვლის რეორგანიზაციის მიზანი იყო ქვეყნის რეგულიაციური გარდაქმნების პროცესის შემდგომი დაჩქარება „ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ეთიოპიაში მეცნიერული სოციალიზმის პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოების აშენებას“.

აფრიკის ზოგ სახელმწიფოთაგან განსხვავებით, სადაც აგრეთვე განვითარების სოციალისტური კურსია აღიარებული, დროებითი სამხედრო ადმინისტრაციელი საბჭოს პროგრამა ეთიოპიის განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს როგორც „ეროვნულ-დემოკრატიულ რეგოლუციას“. ამ ეტაპზე მთავარ ამოცანად დასახულია: ბრძოლა ფეოდალიზმის, „ბიროკრატიული კაპიტალიზმის“ და იმპერიალიზმის სრული აღმოფხვრისათვის სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

ამ მიზნის მიღწევაში დიდი როლი ენიჭება ხალხის მასებს ორგანიზაციის დროებით ბიუროს. მან ხელი უნდა შეუწყოს მასების პოლიტიკურ განათლებას და ორგანიზებულობას, ფართოდ გაშალოს მეცნიერული სოციალიზმის იდეების, სხვა ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების პროპაგანდა, მასებს განუმარტოს მთავრობის რეფორმათა არსი და მიზნები.

რეგოლუციური ეთიოპიის წინაშე მდგომ ამოცანათა გადაჭრას ჯერ კიდევ ბევრი სიძნელეები აშლის ხელს. ძალზე მცირეოდენ ზოგანი, პოლიტიკურად მოუმზადებელი და სუსტად ორგანიზებულია მუშათა ფენა, სათანადო ხიბლელნი ვერ დაუნან პროფკავშირები, სადაც ულტრამემარცხენე ძალებსაც აქვთ გარკვეული გავლენა. მხედველობაშია მისაღები ეთიოპიის გლეხობის უკიდურესი ჩამორჩენილობაც. ისინი ქვეყნის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტს შეადგენენ და ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ფეოდალურ-მონარქიული ფსიქოლოგიის ტყვეობიდან.

მასებთან მუშაობას ართულებს კვალიფიციური კადრების ნაკლებობაც. პოლიტიკური სკოლის კურსდამთავრებულები ხშირად ვაჭართლებელ მოუთმენლობას ჩენენ ადგილებზე, მოისტეტურ პოზიციებზე აშვებიან და ფეტერარად არღვევენ მასებთან მუშაობას.

მიუხედავად აღნიშნული სიძნელეებისა, უკვე იგრძნობა დროებითი ბიუროს საქმიანობის შედეგი. ამას ისიც მოწმობს, რომ სწორედ ბიუროს აქტივისტები და წარმომადგენლები ითვლიან ეროვნულ 3 თებერვლის ამბების ორგანიზატორებად. ეს ბიუროს ოფიციალური ინფორმაციაა. ასეთი ასოციაციები 1975 წლის ზაფხულში დაარსდა მოწვევისა და კერძო საკუთრებაში ყოფილი შემოსავლიანი სახლების ნაციონალიზაციის შედეგად. ასოციაციებს ფართო ადმინისტრაციული უფლებები აქვთ და ადგილებზე ახალი ხელისუფლების ორგანოთა ფუნქციებს ასრულებენ.

1976 წლის ივნისში გამოქვეყნდა დეკრეტი სოფლებში სახალხო მილიციის დაარსების თაობაზე, რომელიც სადღისოდ უკვე ნაბეჭდავან მილიონ მებრძოლს ითვლიან.

სამხედრო ხელისუფლების ერთერთ მთავარ საზრუნავს კვლავინდებურად ერიტრეის პრობლემა წარმოადგენს. 1976 წლის მაისში ვემოქვეყნებული პროგრამა მიზნად ისახავს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის რეგიონალური ავტონომიის ფარგლებში თვითგამორკვევის უფლების აღიარების საფუძველზე. ამგვარ თვალსაწიერს აგრეთვე ეთიოპიის მომავალი პროგრამიციების საზღვრების საყოველთაოსახალხო განხილვის მოწყობას.

მიმდინარე წლის დასაწყისისა ნილებები კვლის პროდუქტებზე და შეძლებისა გასაყიდი პროდუქტის რაოდენობა.

კვლის პროდუქტთა უკმარისობა და ფასების ზრდა, ეკონომიკური სიძნელეის შედეგად ამბების შემდეგ, ამერიკელი „ვაშინგტონ პოსტი“ 25 აპრილის ნომერში სინანულით აღნიშნავდა, რომ „ფაქტიურად სამხედრო მთავრობა ბრალ ეთიოპია-ამერიკის ურთიერთობას, რომელიც 1953 წელს დაიწყო, როდესაც ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს“.

პროგრესული ხასიათის გარდაქმნებმა, დამოუკიდებელმა, სუვერენულმა, ქვეყნის ეროვნული ინტერესებით ნაკარნახევმა ახალმა საგარეო პოლიტიკამ იმანენტურად განაპირობა მკვიდრო მეგობრული ურთიერთობა სოციალისტურ ბანაკთან. და უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირთან. ყოველივე ამის მკაფიო გამოხატულებად იქცა დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს, ხელმძღვანელთა ამასწინანდელი ვიზიტი საბჭოთა კავშირში. მოლაპარაკებებმა საბჭოთა ხელმძღვანელებთან, გამოქვეყნებულმა კომუნიკემ და დეკლარაციამ ცხადყო, რომ ორ ისტორიულად მეგობარ ქვეყანას შორის ურთიერთობის ახალი ეტაპი იწყება — კლასობრივი სოლიდარობისა და ინტერნაციონალური ურთიერთკავშირის ეტაპი.

ს. ციცაძე.

ნაბიჯი

ლადო ასათიანის საიუბილეო საღამო

ბრიან ადამიანები, რომლებისთვისაც სიკვდილს უკვდავება მოაქვს, მათ რიცხვს უდავოდ ეკუთვნის პოეტი ლადო ასათიანი.

16 მაისს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე გულგრილი არავინ ყოფილა. საღამოს იმდენი პოეზიის მოყვარული მოაწყდა, რომ თეატრმა ვერც კი დაიტია ყველა. მაყურებლით იყო სავსე ყველა ლოჟა და გასასვლელი პარტერსა და ბელეტაჟში. საიუბილეო საღამოს მონაწილენი მხურვალედ უკრავენ ტაშს საყვარელი პოეტის ხსოვნას, რომლის ყოველი სტრიქონი ღრმად გწვდება გულში, აღგიძრავს ყველაზე უაქრეს ადამიანურ ვრძნობებს.

თეატრის თაღებქვეშ მთელ ხალხმოს ისმოდა პოეტის ლექსები. ბევრი მათგანი სიმღერად იქცა — პატრიოტულ-ლირიკულ, გულში ჩამწვდომ სიმღერებად.

ეს საღამოც სწორედ სიმღერით დაიწყო. ანსამბლ „ივერიის“ მსახიობებმა შეასრულეს სიმღერა „ფიროსმანი“ ლადო ასათიანის ლექსზე, რომლის მუსიკა კომპოზიტორმა ნ. გაგარმა დაწერა.

მძიმედ დასნეულებული ჭაბუკი უმღეროდა თავის სამშობლოს და ნატრობდა, რომ მას მარტო ლექსით კი არა საქმითაც დახმარებოდა. იგი მზად იყო თავი ენაცვალებინა სამშობლოსათვის, უმჯობ მიეღო სიკვდილი მისი გულისათვის.

ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ
ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ
გავიცინებდ,
დავიღლები საქართველოს
სიყვარულში,
ხასთუმალზე ერთხელაც არ
დავიძინებ!“...

წერდა პოეტი.

...დარბაზში სინათლე ჩაქრა. ეკრანზე გამოჩნდა დაუვიწყარი კადრები. მალვა დადიანი თავის ბინაში ესაუბრება ახალგაზრდა მწერლებს ლექსნერე სიჯაიას, ლადო ავალიანსა, რევაზ მარგიანსა და ლადო ასათიანს.

ხილო სცენიდან, უზარმაზარი პორტრეტიდან, რომელიც ათი წლის წინ შექმნა მხატვარმა ზურაბ სამხარაძემ, დარბაზისათვის გაუყრია თვალი პოეტს. ყოველთვის, როცა იგი თავის მრწამსს იცავდა, მისი დაცვა კი შეეძლო, — ეს თვალები ცეცხლს აფრქვევდა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. აბაშიძემ.

რაც დრო გადის, თქვა მან, ლადო ასათიანის პოეზიის ზემოქმედების ძალა სულ უფრო იზრდება. გვწამს, რომ ქართველ მწერალთა ახალი თაობები, მადლიერი შთამომავლნი კიდევ უფრო მეტად დაიფასებენ ამ შესანიშნავ პოეტს.

გულთბილად, გზნებით ილაპარაკა თავის ყოფილ სტუდენტზე მწერალმა და კრიტიკოსმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ. ლადო ასათიანზე უკანასკნელ ხანს ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ, თქვა მან, ეს დასაწყისია იმისა, რასაც დაწერენ პოეტზე მომავალი თაობები. ჩვენ აღარ ვიქნებით, მაგრამ იქნება ლადო ასათიანის პოეზია, რომელიც პირნათლად გაუძღვებს ყმათა სიავის ყოველგვარ გამოცდას და მუდამ გულში ჩასწვდება თვითეული ქართველს, იქნება ქართული პოეტური კულტურის ეტალონი. და თუ ეს ასეა, — ამაში კი ვერვინ ვერ შეეტანს ეჭვს, — სწორედ ეს არის პოეტისა და მისი პოეზიის უკვდავება!

მწერალებმა ნ. აგიაშვილმა, გ. ასათიანმა, მ. მაჭავარიანმა, ა. კალანდაძემ, გ. კალანდაძემ, ლ. ბეალიანმა ეფიანელი ილაპარაკეს ლადო ასათიანზე, წაიკითხეს საკუთარი ლექსები, რომლებიც პოეტის ხსოვნას მიუძღვნეს.

თვალსაჩინო ქართველი მსახიობები, ახალგაზრდა აქტიორები ერმანეზის ეკიბრებოდნენ პოეტის ლექსების კითხვაში, საუკეთესო მოძღვრლები მღეროდნენ სიმღერებს, რომლებიც ქართველ კომპოზიტორებს შეუქმნიათ ლადო ასათიანის სიტყვებზე.

და ისევ სიმღერა, ამჯერად — „ბრავალგალიერი“, ანსამბლ „რუსთაველის“ მსახიობთა შესრულებით ეგი გაისმა რიგორც სადიდებელი პოეტისა, რომელმაც უკვდავება მოიპოვა.

საღამოს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შარტავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე.

ლ. გაგუა,
(საქინფორმიბ კორ.).

□

დიდი შეფასება

ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა სირიაში

დამასკო, საკრებულის კორესპონდენტი ა. კერენცევი იუწყება: აქ გახსნილი ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა სირიის ნამუშევრობრიობის დიდ ყურადღებას იპყრობს. გამოფენაზე წარმოდგენილია ქართველი მხატვრების სხვადასხვა ჟანრის ტილოები.

სირიელი სპეციალისტები მოიცალ შეფასებას აძლევენ ქართველ ფუნჯის ოსტატთა ხელოვნებას, აღნიშნავენ მათი ნამუშევრების მხატვრულ რეალიზმს, ორმა შინაარსსა და ჰუმანიზმს, მაღალ პროფესიულ ოსტატობას.

გამოფენაზე დამასკოს მცხოვრებთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ექსპოზიციის ორგანიზატორებმა ინგარიში გაუწიეს მათ სურვილს და გადაწყვიტეს გამოფენა კიდევ რამოდენიმე დღით გაგრძელონ. საბჭოთა საქართველოს ფერწერის ოსტატთა შემოქმედებას შემდეგ გაეცნობიან ავრეთვე ალეპოს, ლატაკიისა და სირიის სხვა უდიდესი ქალაქების მცხოვრებნი.

სურათებზე: დიდი სახალხო ზეიმი გარეჯში. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მონაწილენი ასრულებენ ცეკვა „ბერიკაობა“ს, დღესასწაულის მონაწილენი.
ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გარეჯობა

დიდი თეატრალიზებული წარმოდგენა ლია ციხ ქვეშ

შარშან ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლთან, დავით გარეჯის კომპლექსთან კიდევ ერთ შესანიშნავ დღესასწაულს — გარეჯობას ჩაეყარა საფუძველი და მუშაობას შეუდგა გარეჯის სახალხო უნივერსიტეტი.

და მართლაც, გასულ შაბათს, 14 მაისს დიდი სახალხო ზეიმის მოწმენი გახდნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები.

ამ დღეს ქართული სიმღერების ჰანგებმა აავსო ძველი უდაბნოს მიდამო, ლამაზად მოირთო და მოიკაზმა კლდეში ნაკვეთი მონასტრის კომპლექსის ციხის გალავანი, მხსი ქონგურები, თუ ტერასები.

სახელგანთქმულ მოწყობილ დახლებთან მსურველებს შეეძლოთ შეეძინათ დღეობის მოსაგონარი მრავალნაირი სუვენირი — წიგნები, ხალხური ნაკეთობანი, იქვე ცხვებოდა ქართული პური, იყიდებოდა გამაგრილებელი წყლები და ტაბილეული.

ლია ცის ქვეშ გამართულ თეატრალიზებულ წარმოდგენაში ერთმანეთს ლხინსა და ზეიმში ენაცვლებოდნენ საგარეჯოს რაიონის კულტურის სახლის თვითმოქმედი კოლექტივები და სახალხო თეატრის მსახიობები, აგრეთვე დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების თვითმოქმედი კოლექტივები და სცენის გამოჩენილი ოსტატები.

იყო შეჯიბრება ჭიდაობასა და ჯირითში, ლექსის თქმასა და შაირობაში.

სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებს გულთბილად მიესალმენ პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მედა მეზვარიშვილი, აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი, დავით გარეჯის სახალხო უნივერსიტეტის საპატიო რექტორი, აკადემიკოსი ვ. გულისაშვილი, რომლებიც თვიანთი აღტაცებას ვერ მალავდნენ ამ დიდი საშვილიშვილო საქმის გამო. დავით გარეჯის სახალხო უნივერსიტეტის დაარსება და გარეჯობის დღესასწაული ხომ ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდის საუკეთესო საშუალებაა, იმის მოსაგონარია, რომ ისინი პატივს სცემდნენ წინაპართა ნაამაგარს, უყვარდეთ სამშობლო, იცოდნენ წმდგელი გართობა და დასვენება. („კომუნისტის“ კორ.).

გუნებაკ და ალამიანი

რამდენი დელფინია შავ ზღვაში?

საბჭოთა მეცნიერებმა დაამთავრეს შავ ზღვაში დელფინების აღწერა. 1965 წელს ამ ცხოველების რეჟიმ აკრძალა და მათი რიცხვი ძალიან გაიზარდა. ახლა შავ ზღვაში ათეულობამდე დელფინია.

აღწერა წარმოებდა თვითმფრინავებისა და კვლევითი გემების დახმარებით. ამან მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა არა მარტო დადგინათ დელფინების რაოდენობა, არამედ გაეკეთებინათ მათი მიგრაციის გზები, განლაგება შავი ზღვის სხვადასხვა რაიონებში. ყველაზე მეტი დელფინი ყირიმის სანაპიროსთან ცხოვრობს.

სსრ კავშირში პირველი დელფინარიუმი სამი წლის წინათ გაიხსნა ბათუმში. საბჭოთა მეცნიერები დელფინების შესწავლის საქმეში თანამშრომლობენ ბევრი ქვეყნის, მათ მორის ბულგარეთის, კუბის, იუგოსლავიის, იტალიის, ნორვეგიის, იაპონიის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების კოლეგებთან. (საკავშირო კორ.).

ავინდი

დღეს დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, რიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს, დაბლობ რაიონებში 22-27, მთებში 17-22 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მთიან რაიონებში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 23-28, მთებში 16-21 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა 26-28 გრადუსი.

ᲓᲘᲓᲘ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲢᲘᲕᲘᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

„ᲰᲔᲠᲛᲐᲜ ᲰᲔᲡᲔ — 1977“

ᲬᲚᲔᲣᲚᲘ მსოფლიოს ლიტერატურული საზოგადოებრიობა აღნიშნავს მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერლის, თანამედროვე გერმანული ლიტერატურის ფუძემდებელისა და უბრწყინვალესი ჯარიმადგენლის ჰერმან ჰესეს დაბადების მეასე წლისთავს, მწერლისა, რომლის ნამოქმედებებიც აისახა დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის რამდენიმე თაობის სულიერი ცხოვრების სიმღელი ეპოქა.

მწერლის სიწმინდე, ადამიანის სიყვარული, ჰუმანიზმი მის წიგნებს მასლობელს ხდის ყველა ქვეყნის მკითხველთათვის. მისი ნაწარმოებები აღნიშნულია სხვადასხვა ლიტერატურული პრემიებით და თარგნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის რუსულ, ესტონურ, ლატვიურ, ლიტვურ და ქართულ ენებზე.

ამ დღეებში გოეთეს საზოგადოების თბილისის განყოფილებამ ჰ. ჰესეს საიუბილეოდ ძოაწყო სამეცნიერო სემინარი, რომლის მუშაობაშიც თბილისელ გერმანისტებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსკოველი, ლენინგრადელი, რიგელი, ორეხოვო-ზუეველი, ტალინელი მეცნიერები, მწერლის შემოქმედების მკვლევარები.

სემინარის სხდომებზე წაკითხულ იქნა მოხსენებები მწერლის სიმბოლური ხელოვნების, მსოფლმხედველობისა და თხრობითი სტრუქტურის, ჰ. ჰესეს შემოქმედების მსოფლიო ლიტერატურასთან მიმართების ირგვლივ.

გარდა სემინარისა მოეწყო აგრეთვე ლიტერატურული მუსიკალური საღამო, რომელსაც გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის დოცენტი რ. ყარალაშვილი უძღვებოდა ხალამზე ჰ. ჰესეს ნაწარმოებების ახალი თარგმანები ს. ავერინცევმა, გ. კოტტერმეიერმა, რ. ყარალაშვილმა, ო. ჭილაძემ, ე. მარკოვიჩმა. აყალერდა ჰ. ჰესეს ლიტერატურულ ტექსტზე შექმნილი ნაწარმოებები ლ. გოგლიჩიძის, გ. კარიაულისა და მ. ხაძორაძის შესრულებით, ხოლო საქართველოს სახელმწიფო კვარტეტმა შეასრულა ი. კაიდნის „ჯვარცმული ქრისტეს შვიდი უკანასკნელი სიტყვა“ (შვიდი სონატა ორატორიუმ-ციტატა და ეპილოგით).

და აი საიუბილეო დღეებში გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილების სახელზე, ვიინაძიდან ძოვიდა გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტის კარლ-ჰაინც ჰაანის წერილი, რომელშიც იგი დადებითად აფასებს ქართველი მკვლევარებისა და მთარგმნელების დაინტერესებას ჰ. ჰესეს შემოქმედებით.

წერილში აღნიშნულია: „დღეს ჰერმან ჰესე გოეთეს ჰუმანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად ძიმაჩნია. და რადგან გოეთეს საზოგადოების მიზანი უწინარეს ყოვლისა ადამიანის საუკეთესო შესაძლებლობათა განხორციელებაზე ზრუნვა და იმ სულიერი კლიმატის შექმნაა, რაზეც გოეთე და მისი მემკვიდრენი ოცნებობდნენ, თავს უფლებას ვაძლევ მოგესალმოთ და გისურვოთ წარმატებანი თქვენს მისწრაფებაში, გააცნოთ თქვენს ერს გერმანულენოვანი კულტურის საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედება“.

აღსანიშნავია, რომ გამოსაცემად მომზადდა და უახლოეს მომავალში ქართველი მკითხველი მიიღებს ჰ. ჰესეს ვრცელ მოთხრობას — „მოხლვა ღილის ქვეყნისა“, რომლის თარგმანი შეასრულეს რ. ყაველაშვილმა და რ. ქებულაძემ.

რ. მუხიგულაშვილი.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

მწვავე პრზიციაში

გუშინ მატჩის მეათე პარტიაში მ. ჩიბურდანიძემ შავებით მიმართა ძველინდურ დაცვას, რომელიც მას კარგად წქვხ შესწავლილი. ამის საწინააღმდეგოდ ნ. ალექსანდრიამ გამოიყენა ე. წ. ზემიშის სისტემა, რომლის შედეგადაც უალრესად მწვავე ორმხრივი შესაძლებლობით სავსე პოზიცია იქმნება. შუა თამაშში მ. ჩიბურდანიძემ მეტოქეს შესთავაზა ლაზიერების გაცვლა, მაგრამ ბრძოლის დაძაბულობა არ დამცხრალა. მდგომარეობის საგრძნობი გამარტივების მიუხედავად, მეტოქეები მხოლოდ გამარჯვებისაკენ მისწრაფოდნენ.

პარტია გადაიდო. შავებმა ჩაიწერეს 43-ე სვლა. მდგომარეობა უკიდურესად მწვავეა. დღეს მეტოქეები დაამთავრებენ ამ პარტიას.

ფატალიბეკოვა ელის მეტოქეს

როგორც ცნობილია, მოსკოველმა ელენე ფატალიბეკოვამ პიატიგორსკელ ვალენტინა გოლოვკასთან დამარცხების შემდეგ პრეტენდენტთა ასპარეზობის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ახლა ფატალიბეკოვა ელის ლევიტინა (საბჭოთა კავშირი)-კუმბირის (ისრაელი) მეოთხედფინალურ მატჩში გამარჯვებულს. ეს მატჩი 10 ივნისიდან გაიმართება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

პირველი ყაიმი

ლას-პალმასში (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირზე მსოფლიოს ჩემპიონმა კარპოვმა ყაიმით დაამთავრა მეშვიდე ტურის შეხვედრა ბოლანდიელ ტიმანთან. ტალმა მოუგო კაბრერას (ესპანეთი).

ასპარეზობას კვლავ კარპოვი ლიდერობს — 6,5 ქულა 7-დან. მას ერთი ქულით ჩამორჩება ტალ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

რევანში... 24 წლის შემდეგ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — „ᲕᲘᲐᲞᲔᲨᲗ ᲓᲦᲔᲐ“ ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲘ — 2:1 (1:0).

17 მაისი, თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. ᲫᲚᲐᲠᲘ გ. ბაკანიძე (თბილისი).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე (ყილაია), ქორიძე, კოსტავა, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გ. მაჩაიძე, ჩელებაძე, წეროთელი.

„ᲡᲘᲜᲘᲡᲢ ᲥᲘᲚᲘᲡᲐ“ — კოვაჩი, ვიცკო, შარლოში, კელნერი, ფტეფლერი, კოლონი, ბაიბო, ა. ტოტი, ბირო, ბენე, ფეიეტე.

ᲣᲜᲒᲠᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ჩემპიონატის ეროვნული ლიდერობა „ეიპეფტ დოდა“ (იგი „ვალიანეს“). ბედნიერ ეფოდ ადგილზეა — 43 ქულა 29 თამაშიდან) მოსკოვის „დინამოსთან“ დიდი ანგარიშით 0:5 წაგეთ. შედეგად წაოეთამაშეობა გახიცადა თბილისშიც, თუმცა ეროვნულ ოლიმპიადეული ანგარიში 1:2.

მატჩი 21-ე წუთზე ზ. წერგოელია შორიდან უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში. მეოთხე ნახევარში (63-ე წუთზე) რ. ჩელეიაძის პენალტი ეროგეროი მეკარე კოვაჩმა, მაგრამ ბურთს მიუსწრო ა. ჩიკაძემ და ორიმდე გაზარდა ანგარიში. 70-ე წუთზე ზამთო საპასუხო გოლი გაიტანა.

ამრიგად, თბილისის „დინამომ“ ამავე სტადიონზე „დიკეაოთან“ წაგებისათვის (2:3) რევანში აიღო... 24 წლის შემდეგ.

— მოკლედ

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲘ. საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურში ედანოვში თბილისისა და ალმა-ათის „დინამოს“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 5:5 (2:1, 0:0, 1:1, 2:3).

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით გახვარძობენ კამოსლას მშვიდობის 30-ე საიუბილეო რბოლაში. ათი ეტაპის შემდეგ წინ არის ტარტუელი ალო პიკუუნი, გუნდურ ჩათვლაში კი საბჭოთა ნაკრები. მეცხრე ეტაპი (კუტუუსი-დრეზდენი), რომლის სიგრძეა 149 კილომეტრი, მოიგო ზიგბერტ შმაისერმა (გდრ) — 3 საათი, 12 წუთი და 20 წამი.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ. 24 წლის ამერიკელმა ჯიმი კონორსმა ფინალურ მატჩში დალასში დაამარცხა თანამემამულე დიკ

ლენდენი და მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

ᲞᲠᲘᲖᲘ. პროფესიონალ მძიმეწონოსან მოკრივეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონმა, 35 წლის მოპამედ ალიმ ქალაქ ლენდოვეერის (მერილენდის შტატი) რინგზე ქულებით მოუგო 22 წლის ესპანელ ალფრედო ევანგელისტას, რომელიც მსოფლიოს ულიერის მოკრივეთა სიაში მეათე ადგილზეა.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ სტადიონზე

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲠᲔᲙᲠᲔᲗᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲘᲜ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ. ჩემპიონატის ევროპის მეცხრე ჯგუფში ოთი მატჩი დაიხ. ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ საამბატონრნრნი ტურნირი გამარჯვებია ყველაზე კარგი შანსი აქვთ საბჭოთა ნაკრების დღევანდელ მეტოქეებს — უნგრელ ფეხბურთელებს, რომლებიც უკანასკნელ შეხვედრას ატარებენ საკუთარ მოედანზე — 28 მაისს ბუდაპეშტის „ნეფშტადიონზე“. ცხადია, ეს მათთვის დიდი ფორეა, მაგრამ ნუ დავიიწყებთ, რომ ფეხბურთის ისტორიას ახოვს მრავალი მაგალითი, როდესაც ფავორიტები წარმატებას ვერ აღწევდნენ თავის მოედანზეც კი. ვინ იცის, იქნებ ბერძენმა ფეხბურთელებმა შეძლონ ფრედ ითამაშონ უნგრელებთან მეცხრე ჯგუფის ბოლო მატჩში.

ანამდე კი... საბჭოთა ნაკრებს, რომელიც 16 მაისს ჩამოვიდა თბილისში, აუცილებლად სჭირდება გამარჯვება უნგრელებთან, ამასთან ნებისმიერი ანგარიშით.

გადავხედოთ სამთა ტურნირის ცხრილს:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
უნგრეთი	2	1	1	0	3:2	3
საბერძნეთი	3	1	1	1	2:3	3
სსრ კავშირი	3	1	0	2	3:3	2

— ამჟამად უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ფეხბურთელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა გაიმარჯვონ დღევანდელ შეხვედრაში (მას სჭიან ინგლისელი არბიტრები ტელლორი, ჰო